

ემსკლუზიური სამუშაო სესია თიბისი ბანკში

საქართველოში „Senteo International“-ის პრეზიდენტი ჩამოვიდა

პრესრელიზი

თბილისი, 24 აპრილი, 2008 - დღეს, 19:00 საათზე, თიბისი ბანკის სათავო ოფისში გაიმართება თიბისი ბანკისა და მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის „Senteo International“ ექსკლუზიური სამუშაო სესია.

სენტეოს პრეზიდენტი და დამფუძნებელი მაიკლ რაკმენი წარმოადგენს მომხმარებლის მოზიდვის, კომფორტის შექმნის, პროდუქტებითა და მომსახურებით დაინტერესების უნიკალურ მეთოდოლოგიასა და კლიენტის საჭიროებებზე მორგებული, დაუვიწყარი, მსოფლიო დონის სერვისის შექმნის საშუალებებს.

მაიკლ რაკმენის უშუალო მონაწილეობით, მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში წარმატებით იქნა განხორციელებული სხვადასხვა პროექტი, მათ შორის ისეთ ცნობილ ბრენდებში, როგორცაა: Atlantico (Millennium BCP), Abbey National, Citibank, Banco Venezolano, ING, Vneshtorgbank, Bank Menatep SPb და Alfa Bank.

საერთაშორისო საკონსულტაციო სააგენტო „Senteo International“ თიბისი ბანკთან 2007 წლის თებერვლიდან თანამშრომლობს. 2007 წლის დეკემბერში კი თიბისი ბანკმა სენტეოს მიერ შემოთავაზებული კონცეფციის მიხედვით გახსნა პირველი ულტრათანამედროვე ტიპის ფილიალი, რითაც დაიწყო საბანკო მომსახურების სრულიად ახალი, საქართველოს საბანკო სექტორისთვის ინოვაციური ფორმების დამკვიდრება ქართულ ბაზარზე.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ წარმოდგენილია საფინანსო ბაზრის სხვადასხვა სექტორებში: თიბისი ლიზინგი, სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგი", თიბისი ბროკერი,;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+, stable
- ◆ Moody's: B 3 and Ba1

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გაცვდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.

დღეისთვის თიბისი ბანკს უკვე გახსნილი აქვს ასეთი ტიპის 6 ფილიალი და 3 სერვის ცენტრი. ხოლო 2008 წლის ბოლოსთვის ახალი ფილიალების რიცხვი 40-ზე მეტი იქნება. ახალი კონცეფცია პირდაპირ გამოხატავს თიბისი ბანკის სლოგანს “ჩემ გვერდით ჩემი ბანკია” – სადაც კლიენტი და ბანკის თანამშრომელი გვერდიგვერდ დგანან და ერთად იღებენ გადაწყვეტილებას.

ახალ ფილიალებში მომხმარებელს შეუძლია მიიღოს სრული საბანკო მომსახურება და საქართველოს საბანკო სივრცეში არსებულისგან სრულიად განსხვავებული ინოვაციური სერვისი, რომელიც შემდეგი სიახლეებით გამოიხატება:

ახალ ფილიალში აღარ არის შესასვლელი უსაფრთხოების კაფსულები და მოხსნილია კლიენტსა და თანამშრომელს შორის არსებული შუშის ბარიერები. ფილიალში შესვლისთანავე ყველა კლიენტს ეგებება სერვის ადმინისტრატორი. ტრადიციული სალაროს ნაცვლად, ბანკში არის საბანკო მანქანები. ახალ ფილიალში მოწყობილია საბავშვო კუთხე და სპეციალური ოთახი ვიპ კლიენტებისთვის.

ფილიალის ლობი გახსნილია 24 საათის განმავლობაში და კლიენტს დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლია ისარგებლოს საინფორმაციო კოსკით (ინტერნეტი, ინტერნეტ ბანკი), ტელეფონით (უფასო ზარი ბანკში) და ბანკომატით.

ღამატაგითი ინფორმაცია

„Senteo International“ - საერთაშორისო საკონსულტაციო სააგენტო, რომელიც საკონსულტაციო მომსახურებას უწევს საცალო ბიზნესით დაკავებულ კომპანიებს და სთავაზობს მათ წარმატებული ბიზნესის წარმოების, კლიენტის საჭიროებებზე მორგებული სერვისის შექმნისა და პროდუქტების განვითარების უნიკალურ, პოზიტიურ მეთოდებს.

კომპანიის მიერ მსოფლიოს 20-ზე მეტ კომპანიაში მათ შორის მსოფლიოს წამყვან ბრენდებში, განხორციელებულია 180 პროექტი. „Senteo International“ –ის კლიენტი კომპანიების ფინანსური გაძლიერება, გაყიდვების ზრდა და მომხმარებლის კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი ამ პროექტებისა და მთლიანად კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს.

www.senteo.net

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი ჯერძო პირები.